საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

ბრძანება

1/17/21 19-02-2021

ირაკლი კობახიძის თავისუფლების საპარლამენტო ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „ყ“ ქვეპუნქტების, „თავისუფლების საპარლამენტო ორდენით, პარლამენტის მედლითა და პარლამენტის სამკერდე ნიშნით პირთა დაჯილდოების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 13 თებერვლის №31/3 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „თავისუფლების საპარლამენტო ორდენით, პარლამენტის მედლითა და პარლამენტის სამკერდე ნიშნით პირთა დაჯილდოების წესის“ (დანართი №1) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და იმავე ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „თავისუფლების საპარლამენტო ორდენით, პარლამენტის მედლითა და პარლამენტის სამკერდე ნიშნით პირთა დაჯილდოებისას გასაცემი სათანადო ერთდროული ფულადი ჯილდოს ოდენობის“ (დანართი №2) „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის 2021 წლის 19 თებერვლის №2-2189/21 წარდგინებისა და საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2021 წლის 19 თებერვლის №28/2 გადაწყვეტილების შესაბამისად:

1. პარლამენტარიზმის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე, 2016-2017 წლებში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ირაკლი კობახიძე დაჯილდოვდეს თავისუფლების საპარლამენტო ორდენით.

2. მიეცეს ირაკლი კობახიძეს ერთდროული ფულადი ჯილდო 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

3. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2021 წლის 19 თებერვალს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადების დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

პარლამენტის თავმჯდომარე
არჩილ თალაკვაძე